სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

05 სექტემბერი 2024

MRDI-RD N 2-03/13236

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ **ირაკლი ჩიდრაშვილს**

ბატონო **ირაკლი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 12 ივლისის №6/39519 და N6/39602 წერილები, რომლებიც შეეხება ქ. ფოთში, მ. კოსტავას ქუჩაზე მდებარე 689კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ N04.02.10.801) ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის უფლებით (10 წლის ვადით) სარგებლობაში გადაცემის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული 689კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N04.02.10.801) მხოლოდ დროებითი იჯარის ფორმით განკარგვა იმ პირობით, რომ მასზე არ მოხდება სამშენებლო სამუშაოების განხორციელება და საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პირველივე მოთხოვნისთანავე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N04.02.10.801) უსასყიდლოდ და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაუბრუნდება სახელმწიფოს და ასევე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული პირობა ასახული უნდა იყოს საჯარო რეესტრის ამონაწერშიც.

საქართველოს კანონის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) **შეუთანხმებლად აკრძალულია** ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე